



დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის  
2022 წლის 25 მარტის №148 დადგენილებით

დანართი №10

## საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები

**მუხლი 1.** საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურების საფასურის ოდენობები და მათი დაანგარიშების წესი

1. საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურების საფასურის ოდენობები:

მომსახურების დასახელება	მომსახურების საფასური დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურება	X

2. საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში მომსახურების საფასური - X განისაზღვრება ერთი მომხმარებლის ერთი დღის არქივაციის მომსახურების საფასურის, რომლის ღირებულება შეადგენს 0.11 (ნული ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარს, ნამრავლით შემსყიდველი ორგანიზაციის არქივირებამდე არსებული მომხმარებელთა რაოდენობაზე და მომსახურების პერიოდზე (იმ დღეების რაოდენობაზე რა პერიოდში უნდა განხორციელდეს მომსახურება).

**მუხლი 2.** საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურების პირობები

1. ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს შეისყიდოს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურიდან (შემდგომში - „სამსახური“) საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურება (შემდგომში - „შემსყიდველი ორგანიზაცია“), ვალდებულია შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა სამსახურს წარუდგინოს წერილობით;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:

ა) მომსახურების გაწევის ვადას;

ბ) საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართს.

3. სამსახური ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“



ქვეპუნქტით განსაზღვრულ ელ.ფოსტის მისამართზე, გაუგზავნოს დასტური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

4. მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი შესაძლებელია გაფორმდეს როგორც ყოველთვიურად, ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში ან/და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ, ამოწურვიდან - 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

5. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

6. ორგანიზაცია, რომელიც უარს იტყვის, როგორც საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) ასევე საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) არქივაციის მომსახურებების შესყიდვაზე, მას საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაში (eDocument) არსებული მონაცემები, უსასყიდლოდ გადაეცემა დაარქივებული სახით, მის მიერვე წარმოდგენილ ინფორმაციის შესანახ მატარებელზე (ასეთ შემთხვევაში სამსახური, ინფორმაციის გადაცემის შემდგომ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას გადაცემული ინფორმაციის შემდგომ გამოყენებაზე).

